სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/124

ქ. თბილისი 29 მაისი 2018

სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან სატრანსპორტო სისტემების სასწავლო-კვლევითი და საექსპერტო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ო. გელაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან თვითდაფინანსებითი „სატრანსპორტო სისტემების სასწავლო-კვლევითი და საექსპერტო ცენტრი“;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ო. გელაშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**